საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი გულუას ქნა,* ტელ 46 50 08, ფაქსი: 46 50 08, -mail:ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 62

„ 05 ” 05 2006 წ.

საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება – ნავთობსაწყობი ტევადობით 1,8 ათ.მ^3
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი –შპს„მეტეხი-95“, თბილისი, მოსკოვის გამზირი №10
3. განხორციელების ადგილი – თბილისი, მოსკოვის გამზირი 10
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 02. 05. 06
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ 29 1/58.

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „მეტეხი-95"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ნავთობსაწყობი"-ს (ტევადობით 1.8 ათ.$მ^3$) პროექტით საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ისანი-სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირის № 10-ში. საქმიანობა დაგეგმილია ქ. თბილისის სამრეწველო ზონაში, ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე. საქმიანობისთვის გათვალისწინებული საერთო ფართობი შეადგენს 0,48 ჰა-ს, აქედან 0,22 ჰა-ზე განთავსდება სარეზერვუარო პარკი. (სნდაწ 11-106-79-ის თანახმად 1500 $მ^3$ ტევადობის ნავთობბაზის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის ფართობი საორიენტაციოდ უნდა შეადგენდეს 1,5–2 ჰა). ტერიტორიას ესაზღვრება „თბილგაზი"-ს საქმიანი ეზო და მოსკოვის გამზირი. ნავთობსაწყობი განთავსებულია სატრანსპორტო მაგისტრალებისა და საცხოვრებელი მასივის მახლობლად. პროექტის მიხედვით უახლოესი საცხოვრებელი სახლი საქმიანობიდან დაშორებულია 80 მეტრით. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის (წერილი №20-1/17-2802, 15.11.00.) მიერ ადგილზე შემოწმებით დადგენილია, რომ 100 მეტრის რადიუსში საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები არ არის განთავსებული.

საქმიანობის მიზანია 1800$მ^3$/წ. ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება, დროებითი შენახვა და გაცემა. მათ შორის სავარაუდოდ: ბენზინი - 1000$მ^3$/წ, დიზელის საწვავი- 800$მ^3$/წ.

სარეზერვუარო პარკი შედგება მიწის ზედაპირზე განთავსებული 50$მ^3$ ტევადობის 36 რეზერვუარისაგან, რომლებიც იდგმება რკინა-ბეტონის საძირკვლებზე, მოშანდაკებული მოედნიდან 50 სმ სიმაღლეზე. შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციის მიზნით სარეზერვუარო პარკის ირგვლივ გათვალისწინებულია 50 სმ. შემაღლების მოწყობა. სარეზერ-ვუარო პარკი დაყოფილია 4 ჯგუფად, თუმცა აღნიშნული არ არის რა მიზნით და რა პრინციპით მოხდა ეს დაყოფა. ტექნოლოგიური რეგლამენტიდან გამომდინარე, ნავთობსაწყობის საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია ემისიებთან ატმოსფერულ ჰაერსა და წყალში.

ნავთობსაწყობში წყლის მოხმარება დაკავშირებულია მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებთან და იგი მიღებული იქნება ქ.თბილისის წყალსადენის ქსელიდან. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შესაბამისად ჩაშვებული იქნება ქალაქის არსებულ კანალიზაციაში. სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე შეკრებილი სანიაღვრე წყლები სამსაფეხურიანი გამწმენდი ნაგებობის (6$მ^3$/სთ) გავლის შემდეგ ჩაშვებული იქნება ქალაქის სანიაღვრე კანალიზაციაში.

ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის თანახმად ატმოსფერული ჰაერში ემისიის ძირითადი წყაროებია რეზერვუარები, ნ/პროდუქტების მიღება-გაცემის უბნები, საკომპრესორო და ნავთობდამჭერი დანადგარები, საიდანაც ატ. ჰაერში გაიფრქვევა ნავთობური ნახშირწყალბადები, ამილენი, ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ქსილოლი და გოგირდწყალბადი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია აქროლადი, მავნე ორგანული ნაერთების თვისობრივ-რაოდენობრივი დახასიათება, ემისიის წყაროების განაწილება და მათი გარემოზე ზემოქმედების დახასიათება. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ სანიტარული ზონის ფარგლებს გარეთ აღნიშნულ ნივთიერებათა კონცენტრაციები იქნება ზღვრულად დასაშვებზე ნაკლები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის მიმდინარეობის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. შენიშვნები

1. პროექტში მითითებული სტრატეგიის შესაბამისად დამუშავდეს და დამტკიცდეს:
   – მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მითითებით;
   – ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მითითებით;
   ორივე გეგმა ორივე გეგმა კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმდეს გარემოს დაცვის სამსახურთან;
2. საქმიანობის დაწყებამდე პროექტი შეთანხმდეს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან;
3. საწარმოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საწყობის ტევადობისა და სნდაწ 11-106-79-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.
4. საწაროს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნავთობური ნარჩენების განთავსების საკითხი შეთანხმდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

IV. დამატებითი პირობები

1 ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;
2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

V. დასკვნა

შპს „მეტეხი-95“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ნავთობსაწყობი ტევადობით 1,8 ათ. $მ^3$ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით“-თ გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია.

საქმიანობის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნას წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნები და IV თავში მოყვანილი 1 და 2 პირობა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 წელი დასკვნის გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

ი.ედილაშვილი
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00021

კოდი M D 1 „08" „ივნისი" 2006 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შპს „ფეტეხი 95"
2. საქმიანობის მიზანი	ნაკთობსაწყობი ტევადობით 1,8 ათ.მ³
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი, მისკოვის გამზ. 10
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შპს „ეკოლოკენტრი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გზშ ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N62; 05.05.06
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი პირობების აუცს. შესრ. პირობით. დანართი 1 გვ.

გარემოზე გავლენის ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დ. ქაჯაია

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №388

ქ. თბილისი "17" 05 2006 წ.

შპს „მეტეხი-95"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „მეტეხი - 95"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ნავთობსაწყობი ტევადობით 1,8 ათ.m^3 საქმიანობაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №62; 05.05.06წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას მოხსენებითი ბარათი

მინისტრი

გ. პაპუაშვილი